



დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა

“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ლალი ბაქრაძე

“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შემოღებას, მასწავლებლობის უფლების მოპოვების წესსა და პირობებს, შემუშავებულია “უმაღლესი განათლების შესახებ” და “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონების მოთხოვნების საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული კანონპროექტის მომზადება აუცილებელი და გამართლებულია.

ამავე დროს, მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნულ კანონპროექტზე რამდენიმე კომენტარის გაკეთება:

1. კანონპროექტით მე-2 მუხლის “დ” პუნქტი შემდეგნაირად ყალიბდება: *“მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი – პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი”.*

მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ფორმულირებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები *“ღირებულებებისა და ვალდებულებების”*. აღნიშნული ქვეპუნქტით მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი განსაზღვრულია როგორც *“პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი”*. როგორც წესი, პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს შესაბამისი პროფესიისათვის აუცილებელ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას. ცხადია, ნებისმიერი ასეთი ერთობლიობა გარკვეულ ღირებულებებზეა უკვე დაფუძნებული. რაც შეეხება მასწავლებლის ვალდებულებებს, ეს ან კონკრეტული სასწავლო დაწესებულების შინაგანაწესის, ან/და შრომითი ხელშეკრულების ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

2. კანონპროექტის მიხედვით, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტი შემდეგნაირად ყალიბდება: *“აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ხანგრძლივი შევსება 1 წლამდე ვადით ანაზღაურების გარეშე სამუშაო ადგილის შენარჩუნებით”.*

ეს წინადადება ისეა აგებული, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს შევსება ანაზღაურების გარეშე, მაშინ როდესაც კვალიფიკაციის ამაღლება ასევე შესაძლებელია მცირე ვადიანი კურსების მეშვეობითაც, რომელის გავლაც ყოველწლიურ ანაზღაურებად შევსებაში ყოფნის დროსაც შეიძლება.

3. საფიქრებელია, რომ საბაზო საფეხურზე ბაკალავრის ხარისხთან ერთად განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის საქართველოს რეგიონების უმეტესობას. ამ შემთხვევაში, როგორც ალტერნატივა, შესაძლებელია საბაზო საფეხურის მასწავლებელზე გავრცელდეს კანონპროექტის 21³-ე მუხლის მეოთხე პუნქტის “გ” ქვეპუნქტი მეორე ნაწილი, ანუ

ბაკალავრის შესაბამისი ხარისხის მფლობელებს განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მოეთხოვოთ მასწავლებელთა მომზადების აკრედიტებული პროგრამის გავლა.

4. 21⁴-ე მუხლიდან გაურკვეველი რჩება თუ რა მექანიზმებით ხვდება მასწავლებლობის მაძიებელი ამა თუ იმ სკოლაში და ეს გარკვეულწილად განსაზღვრავს იმ გაუგებრობას, რაც ამავე მუხლის მესამე პუნქტიდან გამომდინარეობს: მაძიებელმა შეიძლება მიიღოს ან არ მიიღოს ანაზღაურება. საკითხის ამგვარმა გადაწყვეტამ პრაქტიკაში შეიძლება სერიოზულად დამახინჯებული სახე მიიღოს. ამ კანონით ან კანონის მოთხოვნის საფუძველზე ქვენორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს მაძიებლების სკოლებში განაწილების წესი და პრინციპები. ამავდროულად, სამართლიანობა მოითხოვს მაძიებლის საქმიანობის ანაზღაურებას ქვეყანაში არსებული მინიმალური ხელფასის ოდენობით მაინც.

5. ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ განმარტებითი ბარათი არ შეესაბამება არსებულ რეალობას. წინადადებაში, *“მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის შექმნა”* სიტყვა *“შექმნა”* უნდა შეიცვალოს სიტყვებით *“საკანონმდებლო რეგულირება”*, ვინაიდან როგორც ცნობილია, აღნიშნული ცენტრი უკვე შექმნილია პრეზიდენტის 2006 წლის 26 ივნისის №389 ბრძანებულებით.